



# საქართველო

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ზუგდიდი

N 2370  
23/09/2020

2370-02-4-202009231718



### მერის ბრძანება

**„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 სექტემბრის №2300 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის 2020 წლის 23 სექტემბრის №5812-02 მომართვისა შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 სექტემბრის №2300 ბრძანებაში და კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- გიორგი შენგელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;
- კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ნინო სხულუხია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- გოგი რევია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- ლექსო თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- მიხეილ ჭკადუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ზამირა ღადუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული

ერთეულის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

- ია ეხვია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

- მაგდალინა თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

- ქეთევან ხუბუტია - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონული ცენტრის უფროსი, სოციალური მუშაკი - კომისიის წევრი;

- თეა ეხვია - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

- ინდირა ხვიჩავა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი - კომისიის წევრი;

- ლარისა შამუგია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამეგრელო ზემო-სვანეთის, აჭარისა და გურიის ტერიტორიული სამმართველოს სპეციალისტი - კომისიის წევრი;

- თამთა ალანია - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

- ხათუნა ბეჭვია - რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარის“ თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

- თამარ ჩიქავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი, კომისიის მდივანი.

2. ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.

3. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 54-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

მერი

